



## ევროკავშირი

ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა



## ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში

2009 წლის 25 თებერვალი, საქართველო

სარკოზი-მედვედევის 8 სექტემბრის შეთანხმების პირობების შესაბამისად, საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საოპერაციო ფაზა 2008 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო.

2008 წლის 1 სექტემბრის ევროპის საბჭოს რიგგარეშე სხდომის დასკვნებზე დაყრდნობით, 2008 წლის 15 სექტემბერს, ევროპის საბჭომ საქართველოში დამოუკიდებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიის დაარსება გადაწყვიტა. სულ რაღაც ორ კვირაში, 1 ოქტომბრისათვის, ევროკავშირმა ადგილზე 200-ზე მეტი დამკვირვებლის გამოგზავნა შეძლო. ეს ევროკავშირის მიერ განხორციელებული მისიის ყველაზე სწრაფი გამოგზავნა იყო.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებების შესრულების მონიტორინგია, რაც კერძოდ რუსული და ქართული შეიარაღებული ძალების კონფლიქტის დაწყებამდე დაკავებულ პოზიციებზე დაბრუნების მონიტორინგს მოიცავს. მისიას ასევე ომის შედეგად დაზარალებულ მიდამოში მდგომარეობის სტაბილიზაციისა და ნორმალიზაციის ხელშეწყობა, ქართული საპოლიციო ძალების განლაგების და ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაისობის მოთხოვნების დაცვის მონიტორინგი ევალება. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია აგვისტოს კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენის ხელშეწყობაა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი საქართველოს მთელ ტერიტორიას მოიცავს. ამასთან, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მისიას არ გააჩნია აღმასრულებელი ძალაუფლება.

მისია მჭიდროდ თანამშრომლობს ეუთოსა და გაეროსთან და შესაბამისად გაეროს სადამკვირვებლო მისიასა და ეუთოს მისიასთან საქართველოში.

## მონაცემები და ფაქტები

**მისია:** ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში დამოუკიდებელ მისიას წარმოადგენს, რომელსაც ევროპის საგარეო პოლიტიკის შემადგენელი კომპონენტის, ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირი ხელმძღვანელობს

**მთავარი მიზნები:** 12 აგვისტოს ექვს-პუნქტიანი შეთანხმებისა და შემდგომი განხორციელების ზომების შესაბამისად, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და მიმდებარე რეგიონში სტაბილიზაციის ხელშეწყობა

### ძირითადი ამოცანები:

**სტაბილიზაცია:** 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის სამშვიდობო შეთანხმების სრულ შესრულებაზე კონცენტრაციით, სტაბილიზაციის პროცესთან დაკავშირებული სიტუაციის მონიტორინგი და ანალიზი, რაც ჯარების გასვლის, ისევე როგორც ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული კანონის დარღვევების საკითხებს აერთიანებს

**ნორმალიზაცია:** მმართველობის, კანონის უზენაისობის და საჯარო წესრიგის მდგომარეობის, ასევე სატრანსპორტო კვანძების, ენერგო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნების პროცესის მონიტორინგი და ანალიზი

**ნდობის აღდგენა:** დაძაბულობის შემცირების ხელშეწყობა მხარეებს შორის კონტაქტის დამყარების და გაადვილების ხელშეწყობით და სხვა ნდობის აღდგენისაკენ მიმართული ზომების გატარებით

**ინფორმირება:** ევროპის პოლიტიკის ინფორმირების და ევროკავშირის სამომავლო მონაწილეობის ხელშეწყობა

### მისიის სტრუქტურა და პარამეტრები:

მისიას დაახლოებით 350 თანამშრომელი ჰყავს, სათაო ოფისის და რეგიონალური ოფისების თანამშრომლებისა და 200 დამკვირვებლის ჩათვლით

მისიაში წარმოდგენილია ევროკავშირის 26 წევრი სახელმწიფოს თანამშრომელი

მისიის სათაო ოფისი თბილისში მდებარეობს, რეგიონალური ოფისებით თბილისში, გორში, ხაშურსა და ზუგდიდში

მისიის ხელმძღვანელია ელჩი ჰანსიორგ ჰაბერი

მისი მოადგილეა გენერალი ჟილ ჯანვიე

მისიის საწყისი ბიუჯეტი 35 მილიონი ევრო

მისიის საწყისი ხანგრძლივობა თორმეტი თვეა, მაგრამ შესაძლებელია გაგრძელება. პირველი გადახედვა ექვსი თვის შემდეგ განხორციელდება.

დამკვირვებელთა განსხვავებული გამოცდილების უკეთესად გამოსაყენებლად, **2009 წლის თებერვლიდან ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ ეროვნული კონტიგენტების შერევის პოლიტიკა განახორციელა.** ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი მოიცავს უსაფრთხოებასთან, პოლიციის განლაგებასთან, დევნილებთან, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს. ეროვნული კონტიგენტების კონცეფციის

ცვლილებით, მანდატის სრულფასოვნად შესასრულებლად, მისიამ თითოეულ რეგიონალურ ოფისში კონკრეტულ საკითხზე სათანადო რაოდენობის ექსპერტების არსებობა უზრუნველყო. იმ ახალი რესტრუქტურირების ფარგლებში რომელიც მისიამ განახორციელა, საპატრულო ჯგუფები სამ ფუნქციურ სფეროდ არიან დაყოფილი:

- ჰუმანიტარული/იმულებით გადაადგილებული პირები;
- საპოლიციო/სასამართლო/ადამიანის უფლებები და
- სამხედრო

დამკვირვებელთა განლაგება, რაოდენობა და ეროვნება:

**თბილისი:** 67; შვედეთი, რუმინეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ჰოლანდია, ბულგარეთი, ჩეხეთი, იტალია.

**გორი:** 67; საფრანგეთი, პოლონეთი, იტალია, ბულგარეთი, მალტა, ლუქსემბურგი, დანია, ლატვია.

**ზუგდიდი:** 66; იტალია, გერმანია, შვედეთი, ჩეხეთი, ფინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ლიტვა, ბულგარეთი

**ხაშური:** 49; ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, ესტონეთი, ლატვია, უნგრეთი, საბერძნეთი, ავსტრია; დანია, ფინეთი, ჰოლანდია

**თანამშრომელთა რაოდენობა მისიის მასშტაბით ქვეყნების მიხედვით:**

გერმანია 42, საფრანგეთი 39, შვედეთი 29, პოლონეთი 27, რუმინეთი 21, იტალია 20, ფინეთი 16, დიდი ბრიტანეთი 14, ბულგარეთი 14, ესპანეთი 11, საბერძნეთი 11, ჰოლანდია 11, ლიტვა 10, დანია 9, ჩეხეთი 9, ირლანდია 5, ავსტრია 5, სლოვაკეთი 4, უნგრეთი 4, ბელგია 3, ესტონეთი 3, ლატვია 2, მალტა 2, ლუქსემბურგი 2, სლოვენია 2, პორტუგალია 1.

